

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი N 3

ქ. ვანი N 65

26 აპრილი 2021 წელი

12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები : კობა ტოხვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, თენგიზ დვალიშვილი, ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

მოწვეული პირები: ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბ „აიეტის“ დირექტორი - ვალერი როხვაძე.

/დანართი N1/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - კობა ტოხვაძე (კომისიის თავმჯდომარე)
კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „აიეტის“ დირექტორის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: ვალერი როხვაძე

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვალერი როხვაძემ წარმოადგინა ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის სარაგბო კლუბი „აიეტის“ დირექტორის ანგარიში 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა განმარტა, რომ 2013-2020 წელს მივიღეთ მონაწილეობა რეგიონალურ II ლიგაში, რომელიც დაიტყო პირველი წრე 2019 წლის 10 სექტემბერს და დასრულდა მეორე წრის 2020 წლის 10 აპრილს, სადაც 8 გუნდი ღებულობდა მონაწილეობას და IV ადგილი დავიკავეთ.

რაც შეეხება ჭაბუკთა ბ.ლიგას და საფესტივალო ჯგუფებს კოვიდ 19 დაკავშირებით ვერ მივიღეთ მონაწილეობა.

2020 წლის 10 სექტემბერს მივიღეთ მონაწილეობა ისევ რეგიონალურ II ლიგაში, რომელიც II წრე დასრულდა 2021 წლის 15 აპრილს. ვანის გუნდმა III ადგილი დავიკავეთ, აქაც რვა გუნდი მონაწილეობდა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს მიმართა, წარმოდგენილი საკითხის მიმართ ხომ არ გაქვთ შეკითხვა ან შენიშვნა, კომისიის წევრებს მოსაზრებები არ დაუფიქსირებიათ.

კომისიამ მოიწონა მომხსენებლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

დაადგინეს: კომისიამ წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით.

საკითხის ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კობა ტოხვაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე